**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

**Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia**

KA030118378917120

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

**№ 01/10379** **31 / აგვისტო / 2020 წ.**

საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს
თავმჯდომარეს ბატონ გივი ჯავაშვილს

ბატონო გივი,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველო ჩართულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ „სოლიდარობის" კვლევაში. აღნიშნული კვლევის ჩატარების თაობაზე 2020 წლის 27 აპრილს საქართველოს ბიოეთიკის ეროვნულმა საბჭომ გასცა დადებითი რეკომენდაცია. ამავე წლის 8 მაისს 02-749/ო ბრძანებით, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევრული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე გაიცა აღნიშნული კვლევის ჩატარების ნებართვა.

მიმდინარე წლის აგვისტოში, ჯანმოს ექსპერტთა და მკვლევართა ჯგუფის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა მომხდარიყო კლინიკური კვლევის პროტოკოლში ცვლილებების შეტანა, მათ შორის საკვლევი პრეპარატების ამოღება/ჩამატება. აღნიშნული ცვლილებები ასახულია თანდართულ დოკუმენტებში (პროტოკოლის მე-15 ვერსია; სოპ-ის მე-16 ვერსია).

მოგმართავთ თხოვნით, მოიწვიოთ საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს სხდომა სახეცვლილი პროტოკოლის დამტკიცების მიზნით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

გიორგი ჭავჭავაძე